



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბათიაშვილი თამაზ ალექსის ძე

ბათიაშვილი თამაზ ალექსის ძე (დ. 18. III. 1941, თბილისი), მევიოლინე და პედაგოგი. საქართველო. სახ. არტისტი (1980). პროფესორი (1986).

1963 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია, 1966 – ასპირანტურა (პროფ. შ. შანიძის კლასი). 1963 მუშაობა დაიწყო საქართველო. სახელმწ. კამერულ ორკესტრში (რ-ის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილეცაა) კონცერტმაისტერად, ხოლო 1966-იდან – საქართველო. სახელმწ. სიმებიან კვარტეტში მევიოლინედ. კვარტეტთან ერთად კონცერტებს მართავდა ყოფ. სსრკ ქ-ებში და საზღვარგარეთ (გერმანია, ავსტრია, პოლანდია, იტალია, შვეიცია, ფინეთი, ესპანეთი, სამხრ. ამერიკა, ჩეხოსლოვაკია, საბერძნეთი და სხვ.).

1967-იდან თბილ. სახელმწ. კონსერვ. პედაგოგია. ბ. ფალიაშვილის სახ. (1971), რუსთაველის სახ. სახელმწ. (1992) და საქართველო. სახელმწიფო პრემიის (2010), აგრეთვე ვაინერის სახ. საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (1973, ბუდაპეშტი, კვარტეტის სხვა წევრებთან – კ. ვარდელთან, ო. ჩუბინაშვილთან, ნ. ჟვანიასთან ერთად).

ლ. საყვარელიძე
